ეროვნული ბიბლიოთეკა


# ბახტრიონი

ფასი 10.000 მ.

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ 8—04

განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 17 ორშაბათი 30 ოქტომბერი № 17


## საქართველოს თამბაქოს ტრესტი ს. მ. უ. ს.

### ჰყიდის თავის ნაწარმოებებს

### პრეის-კურანტი № 8 10 ოქტომბრისა 1922 წ.

| პაპიროსების სახელწოდება | პაპიროსების ფასი დაწყებული: 10-30 ათასი | 50-100 ათ. | 150-300 ათ. | სპეციალური ფასები (თუ 3 მილიარდის საქონელია წაღებული. |
|---|---|---|---|---|
| I. ინგლისური | 1.000 | | | |
| III. სოვეტსკი | 840 | 820 | 800 | 780 |
| სოლიდნი | 670 | 650 | 640 | 630 |
| სოვეტსკი II ბოზ. | 550 | 540 | 530 | 520 |
| კოლოფებში | | | | |
| II. ეგიპეტსკი, ირის, პრიმა, ფურორ, იდეალ, ხან-კეფი, ყველა ფაბრიკების სოვეტსკი | 520 | 510 | 500 | 480 |
| III. საფო, № 105, იაკა | 440 | 420 | 410 | 400 |
| პაჩკებით | | | | |
| IV. ბუკეტი, გალეია | 440 | 420 | 410 | 400 |
| V. დელიკატეს, ეგიპეტსკი | 460 | 440 | 430 | 420 |
| VI. № 8 საფაროვისა, სუდებნი, სიმპატია, კორდო-ვერ ,,ლევ'' | 420 | 400 | 390 | 380 |
| VII. ეკსტრა, დიუშეს, როსკოშ, მარსი სეილანოვისა | 390 | 370 | 360 | 350 |
| VIII მარსი საფაროვისა, ზნამია, № 5, ზარია, გოლუბკა, როზა | 370 | 350 | 340 | 330 |

თამბაქოები იყიდება არა ნაკლებ 400 გირვანქისა:

თამბაქოები იყიდება არა ნაკლ. 400 გირ.

| | |
|---|---|
| თამბაქოები: უმაღ. ხარის. კოლოფებში „კომეტა | 260 |
| „ „ ლ. საფაროვისა | 160 |
| „ „ „სლონ„ | 120 |
| ოტბორნი „მირ" | 120 |
| № 52 საფაროვისა, კეფ და კრიმსკი-„კომეტა" | 120 |
| № სეილანოვისა და ბოზარჯიანცისა „სამსონი" მაგარი | 90 |
| № 120 ენფიანჯიანცისა, № 108 საფაროვისა და ყველა ხარისხისა | 75 |


## განცხადება

### ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

ფინანსთა სახალხო კომისარი ამით აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს თანახმად № 75 დეკრეტის 13 და 17 მუხ. მისს მიერ დამტკიცებულია ახალი ნიხრი აქციზების გადიდებისა, სხვათა შორის, შაქარზე (რაფინადი და ფხვნილი სახარინზე, ჩაიზე (საზღვარ გარეთული და ადგილობრივი), ყოველგვარ ღვინოზე სპირტზე, და მისს ნაწარმოებზე, კონიაკის სპირტზე და კონიაკზე ამის გამო წინადადება ეძლევა ყველა საწყობების და სავაჭროების გამგეებს, სადაც მზადდება ინახება და იყიდება ეს საგნები (საწყობები და სავაჭროები სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების, რკ. გზის სადგურების, ნავთ სადგურები, სატრანსპორტო კანტორების, ბანკების, კოოპერატიულ საზოგადოებების და კერძო პირების) გარდა იმ ღვინის, კონიაკის, და სპირტის ქარხნებისა და საწყობებისა და სავაჭროებისა, რომელებთაც აქვთ არაპირდაპირი გადასახადთა განყოფილებიდგან აღებული სათანადო პატენტები. წარუდგინონ 1 ნოემბრამდის ამის შესახებ განცხადება თბილისში არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებას (სასამართლოს ქ. № 50) და მაზრებში ადგილობრივი აქციზის ინსპექტორებს. განცხადებაში უნდა იქნეს აღნიშნული: სად იმყოფება საწყობი, ანუ სავაჭრო, ვის ეკუთვნის, რა საგანი აქვს დასამატი აქციზის შესაწერი და რამდენი. ამასთანავე ფინნსთა სახალხო კომისარი აფრხილებს ყველას, თუ დანიშნულ ვადაზე განცხადება წარდგენილ არ იქნა 3 ნოემბრის შემდეგ ზემოაღნიშნული საგნები აღმოჩნდა რომელიმე საწყობში ან სავაჭრში, აღუნუსხავი და დასამატი აქციზის შეუწერელი, ასეთი საგნები ჩაითვლება განძრახ სააქციზო გადასახადისაგან გადამალულად, ჩამონრთმევა პატრონს და დამნაშავე არსებულ კანონის ძალით მიეცემა პასუხისგებაში.

ფინასთა სახალხო კომისირი **ბ. ბიბინეიშვილი.**

არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ნ. ლამბარაშვილი.**



## № 5 მატარებლის ახალი მარშუტი

ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველო აცხადებს,

რომ ჩქირი მატარებლი № 5, რომელიც დადის ბათომი-მოსკოვი-პეტროგრადის მიმართულებით 26 ოქტომბრიდან ბათომიდან ივლის შემდეგ მარშრუტით საკვანძო სადგურების გზით, ბალაჯარა-მოზდოკი-როსტოვი-ნიკიტოვკა-იამა-ხარკოვი-კურსკი-მოსკოვი.


## პროფესორი ცაგარელის იუბილე

დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტი დღესასწაულს იხდის პროფესორის ალექსანდრე ცაგარელის 50 წლის იუბილეს გამო.

ალექსანდრე ცაგარელი ეკუთნის ყველაზე მაგარს, ჭავჭავაძის პლეადას ამ პლეადიდან ალ ცაგარელი დარჩენილია როგორც უკანასკნელი სვეტი რადგან სხვა სვეტები უკვე არარ არიან. ლონიერი ცეცხლი ამ თაობის არის საბაბი, მისი ენერგიის გაძლების, მოუხრელობის და ამდენი ხნის აფთარივით დგომის ორიენტალისტებისა და არქეოლოგების ყველა იმ კონგრესებზე, რომლებიც კი გამართულა მესამოცდაათე წლებიდან ვიდრე უკანასკნელ დრომდის. ინტერესს არ არის მოკლებული ისიც, რომ პირველი გამოსვლა იყო ლიტერატურული თემებით.

პირველ ჟურნალ „ცისკარში", რომელმაც დღეს უკვე ლეგენდარულია ის არჩევს შექსპირის ტრაღედიებ, გიორგი ერისთავის თხუზულებებს და მისი თანამედროვეს ჯერ კიდევ უიმედო ლიტერატურას, რომელსაც სათაურშიაც ეძახის „უბედურს"

რაც მაშინ მეტად სკანდალური იყო ეს არი მისი ყოფნა მემარხენეთა ფლანგაში რომელმაც „დასცა ყარსი" ძველი ქართული ლიტერატურის, რომელსაც იცავდნენ მხოლოდ სამსახურიდან გადამდგარი გენერლები და იეზუიტილვთის-მეტყველები.

კერძოდ ჩვენთვის სასიხარულოა უფრო ეს ფაკტი რომ მესამოცე წლებში, როცა მუხამბაზების კოდექსი შეუბრალებლად დახეთქეს თერგდალეულებმა, ბ. ალექსანდრე მათში იყო, როგორც ერთი შემტევი ძალა, იმ ბანალობის და შაბლონის ტრადიციების წინააღმდეგ, რომელსაც დღესაც არ გამოჰლევია უნიჭო მემკვიდრეები.

საყურადღებოა კიდევ მეორე ფაკტიც რომ მებრძოლი, დროშა მაშინდელი თაობის, ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით აფასებდა ალექსანდრე ცაგარელს როგორც ერთს ღონიერ მებრძოლს თავის პოზიციებზე.

გაიარა ადალგაზდობის მოელვარე ხანამ და ა. ცაგარელი მატარებელი ისევ იმ მებრძოლ სულის—შექსპირიდან გადადის ქართუ მეცნიერებაზე, ეს მაშინ, როცა დაიწყო ორგანიზაციული მუშაობა რევოლიუციის მონაპოვართა გასამაგრებლად.

და აქაც სჩანს იგი რასაკვირველია არა იმდენად რევოლიუციის პათოსით, რამდენადაც მთელი მეცნიერული დარბაისლობით და ჩაჯდომით. აქ მან ჩვეული ტემპერამენტით დაიცვა ქართული ენის ბუნების და თვისების საკითხი ფოლადის ფორმულებით, მან დაამარცხა ქართული ენის არგონავტები, რომელთაც ქართული ენა მხოლოდ ზულუსებს არ დაუნათესავეს. ამ საკითხის გარშემო მანვე დასვა საკითხი ქართულის მონათესავე ჭანურის, სვანურ და მეგრული ენების გამოკვლევის საკითხი ამ მხრით საინტერესოა მისი ორი ტომი სამეგრელოს ეტიუდები" შემდეგ გადათარგმნილი ფრანგულად.

მაგრამ გრანდიოზული ნამუშავარია მისი სამი ტომიანი გამოკვლევა сведепия о памятниках грузинской письмениости, რომელიც ჯერ კიდევ დიდხანს ეჭირებათ ხელთ ქართული ფილოლოგებს.

გაიხსენეთ მისგან გამოცემული კავკასიის დამოკიდებულება რუსეთთან'', ,,18 ს. საბუთები და ისტორიული და დოკუმენტები'' ,,ქართული მეგლები წმ. ადგილებსა და სინას მთაზე'' ,,1801—1830 წლამდე თბილისში მოჭრილა ქართული ფული'', ,,გრამატიკული ლიტერატურა ქართული ენის'' ,,შედარებით მიმოხილვა კავკასიის ენების ივერიული ჯგუფის მორფოლოგიის' ,,ქართული ენის ინდო-ევროპიულსა და ოსმალურ. ენებთან ნათესაობისათვის"

საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუე" მისი წერილები ქართული ეკლესიის საკითხისთვის, და ბევრი გამოკვლევების გამოტოვების შემდეგ გინდაც მისი უკანასკნელი წიგნი: „ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა ახალციხის მაზრის სამცხე-საათაბაგოს"

მოხუცი პროფესორი მიუხედავად 76 წლის ტვირთის, ეხლაც განაგრძობს მუშაობას იმ ტემპერამენტით რომელიც დღემდის მხოლოდ თერგდალეულებს თუ გამოჰყვათ.

გ. ლ.

## ქართული წიგნი

არ ვიცით რა იქნება მომავალში, დღეს კი ქართული წიგნი არ არსებობს. იმ სპეციალური თარგმანებისა, რომელსაც სცემს აგიტპროპი, ბარათაშვილისა და ვაჟას წიგნებით გარდა ბაზარზე არაფერი გვინახავს. თბილისში ძალიან გამრავლდა წიგნის მაღაზიები. ყველა სავსეა წიგნების თაროებზე რომ არ ეტევიან იატაკზე ყრია. არის ორი ახალი მაღაზია რომლებიც სავსეა რუსეთში ახლად გამოცემულ წიგნებით. კიოსკებში, გაზეთის გამყიდველებთან, ძველ და ახალ მაღაზიებში ნახავთ ყოველნაირ გაზეთს, ჟურნალს, წიგნს, მაგრამ ქართულს მხოლოდ ხილათ. იმიტომ, რომ ქართული წიგნი არ არის. ნურავის ეგონება, რომ ჩვენ ღირსეულ პატივს არ ვცემდეთ რუსეთის ლიტერატურას. ძალიან გვიყვარს მაგრამ ქართული უფრო. ასე რომ არ იყოს ანორმალია იქნებოდა. რუსეთი ახლა შედარებით ღარიბია, მაგრამ მეფობის დროს ათი წლის განმავლობაში არ გამოსულა იმდენი წიგნი რამდენიც უკანასკნელ წელიწადში. გამოცემები მხატვრული და ძალიან მდიდარი. რომ ვინმემ იკითხოს, თუ რა თანხით გამოდის თბილისში ქართული ლიტერატურული გაზეთები გაიგებს, რომ მწერლები საცხოვრებელ ფულს იკლებენ. და გამოცემას ახერხებენ ეს მსხვერპლი დიდია და სამარცხვინო მისთვის, ვისაც უნდა შერცხვეს.

მრავალი მასალაა ამჟამად დაგროვილი გამოსაცემლად, მაგრამ ქართველი მწერალი საკუთარი თანხით ვერ გამოსცემს. მიზეზი ყველასათვის გასაგებია. რუსეთში მრავალია მეცენატი და მკითხველი. იქ გამომცემლობა „რისკზე" არ მიდის. მან იცის, -რაც უნდა ცუდი იყოს წიგნი, ხარჯს უსათუოთ დაფარავს. ჩვენში ამის იმედი არაა, არც მეცმნატებია. მაშასადამე გამოსავალი სხვაგან უნდა ვეძიოთ. მწერლები კიდევ გაუძლვებოდენ თავის საქმეს, რომ ერთი დიდი დაბრკოლება არ ელობებოდესთ. ფულის უქონლობა იმდენათ არაა ხელის შემშლელი რამდენათ პოლიგრაფიული პირობები. სტამბა დღეს მიუვალია, ყველაზე უფრო მეძვირე და ამას გარდა წიგნის კულტურა თავისებურათ ესმის.

რომ მთავრობა ხელს შეუწყობდეს ამ მხრით ქართველ მწერლებს, საქართველოს შეეძინება ბევრი ახალი საყურადღებო გამოცემა. მოთხოვნილების მინიმუმი ასეთია: საქართველოს მწერალთა კავშირს უნდა მიეცეს დაპირებული სტამბა. ბევრი მანქანა დღეს უსაქმოთ სდგას და ნუ თუ პატარა ,,ამერიკანკას'' გამეტება არ შეიძლებოდეს!

თუ ასე არ იქნა, ქართული წიგნი უნდა გამოვიტიროთ. არა მგონია, რომ ეს ვინმესთვის სასარგებლო და გასახარელი იყოს.

ს. კ.

## ქართველი ქალები

### ქეთევან

30 წლის წინათ ქეთევანი ულამაზესი ქალი იყო იყო თბილისში. მაგრამ განსხვავდებოდა ყველა ქალებისგან არა მარტო სილამაზით—სახის და ტანის კეთილშობილებით. ლამაზი ხელების ყოველ მოძრაობას და სიარულს აღტაცებაში მოყავდა მხატვრები. ქეთევანი იყო ქართული რასსის უკეთილშობილესი განსახიერება. ამასთან ერთად ღჩი არისტოკრატი შთამომავლობით აღზდით და მოქმედებით. ახალგაზრდობა ეტრფოდა მას, რამოდენიმე ახალგაზრდა ვაჟს გაგიჟებით უყვარდა მაგრამ ამათ შორის ქეთევანმა ტოლი ვერ პოვა. თავისებურათ აღზდილი და განათლებული ქალი ბევრს მოითხოვდა მათგან. ყოველ ვაჟში, რომელიც ეტრფოდა მას, მალე ნახულობდა ნაკლს, რომელსაც თითქოს კიდეც ეძებდა და

რომელსაც სხვა ქალები ყურადღებას არ აქცევდენ.

მაგრამ ქეთევანსაც ქონდა ნაკლი და პირველი ის, რომ ცუდათ იცოდა ქართული. ეს იყო მიზეზი მშობლების, საზოგადოების სადაც ქართული ენა აბუჩად იყო აგდებული.

ამას არავითარი ცოდნის ნასახი არ ჰქონდა ქართული ისტორიებში და ლიტერატურაში.

მართალია, მას გაეგონა რომ ილია ჭავჭავაძე, აკაკი, ბარათაშვილი, ქართველი პოეტები არიან, მაგრამ მათი წიგნები ერთიც კი არსად ენახა. სამაგიეროდ მას რამდენჯერმე ჰქონდა გადაკითხული ალფონს დოდე, პოლ ბურჟე, ჩეხოვი, ტურგენევი და სხვა. მან იცოდა რომ თბილისში არსებობდა ქართული თეატრიც და მხოლოდ ორჯერ თუ შეიხედავდა.

მისი ცხოვრების ასპარეზი იყო სალონი. ყველაზე სახელგანთქმულ სალონებში, სადაც იროდნენ ძველი რეჟიმის მოხელეები და დიდებულები, ქეთევან ითვლებოდა „შინაურ ადამიანათ“ ყველა მას იცნობდა და თავაზით ექცეოდა, პატივსცემდენ მას რადგან მეტად ლამაზი, და კარგად აღზრდილი იყო. და უფრო კი მიტომ, რომ ქეთევან იზიარებდა მათს აზროვნობას და მსოფლმხედველობას.

როდესაც ქეთევანს 26 წელი შეუსრულდა, ის გაჰყვა ცოლად ერთ ქართველ ბობოლა მოხელეს, რომელიც მისებრივე ტიპი იყო. უკანასკნელი არავის იცნობდა და არც არავის უწევდა ანგარიშს გარდა თავისი უფროსებისა და დიდ მოხელეებისა. ქართულად მარტო თავის ლაქიასთან და მზარეულთან ლაპარაკობდა. მან თითქმის რამდენიმე ასეული ქართული სიტყვაც იცოდა, მაგრამ უფროსებთან თავს იკატუნებდა და ჰფიცავდა, რომ მას აღარ ესმის ქართული ენა, დიდიხანია რაც დაავიწყდა. ქეთევანისთვის კი კარგი ქმარი იყო: ჯერ ეს რომ, მან ცხოვრებაში ერთნაირი ხარისხი იშოვნა, შემდეგ უთვალავი კაბები და ყოველივე ის, რასაც ქალები კეთილ ცხოვრებას ეძახიან.

თავისუფალი დროც ბევრი ჰქონდა. ქმარი თავის უფროსების სიამოვნებაზე უფრო მეტს ჰფიქრობდა, ვიდრე თავის ცოლის გართობაზე. არცა სწყინდა სრულიად, როცა ახალგაზდები მისი ცოლის შვენიერ ხელებს ჰკოცნიდენ მთელი საათობით, ცეკვავდენ და ან როცა მასთან ერთად მღეროდენ ფუჭ რომანსებს.

ასე გაირა ქეთევანის ცხოვრებამ. ომიანობამდე რამდენიმე წლის წინედ ის მოკვდა და ვგონებ, რომ აღარავინ იგონებს. იგი უკვალოთ გაჰქრა. და ფუჭია მისი ხსოვნაც, როგორც ფუჭი იყო ისისი ცხოვრება.

**არტურ ლაისტი**

# არტურ ლეისტის იუბილე.

კვირას 22 ოქტომბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგა არტურ ლეისტის იუბილე. ეს იუბილე შესამჩნევად განსხვავდებოდა ყველა იმ იუბილედან, რომელნიც ამ ბოლო დრომდე იმართებოდენ საქართველოში, იუბილე ატარებდა უბრალო ინტიმურ ხასიათს, არ იყო ის ჩეხოვის სტილის კომიკური ელემენტი, რომელიც იუბილეს ბევრ შემთხვევაში იუმორისტულ ხასიათს აძლევს, არტურ ლეისტის იუბილე იყო ნამდვილი კულტურული დღესასწაული, ამ იუბილეს უთუოდ ექნება საერთაშორისო ხასიათი. დღესასწაული გახსნა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავჯდომარემ კოტე მაყაშვილმა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა დამსახურებულმა არტისტმა ვალერიან გუნიამ, მისი მიუნე სულის პროფილი და დარბაისელი საუბარი საწინდარი გახდა იმ ინტიმის, რომელმაც შემდეგ მთელ საღამოს გასტანა. ჭკვიანი და ტემპერამენტი სიტყვა სთქვა პროფესორმა შალვა ნუცუბიძემ. შემდეგ ილაპარაკეს განათლების კომისარიატიდან ბ. ალექსანდრე მიქაბერიძემ, რომელმაც გადასცა იუბილიარს 15 მილიონი სახალხო განათლების კომისარიატიდან, შემდეგ სიტყვა სთქვა საკათალიკოზო საბჭოდან მანგლელმა ღვდელ მთავარმა, საგარეო საქმეთა კომისარიატიდან ბ. დემიდოვმა, სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტიდან თავმჯდომარის მოადგილემ ტიციან ტაბიძემ, გერმანულ მისიიდან კონსულმა მუტმა, ძველი მწერლების კავშირის წარმომადგენელმა წ.კ. საზოგადოებიდან ივანე ელიაშვილმა, გერმანელ კოლონისტებიდან გორნინგმა, სომეხთა მწერლებიდან არუტინოვმა, აკაკი ფაღავამ წაიკითხა სომხის ცნობილ პოეტის ოვანეს თუმანიანის წერილი ლეისტისადმი, თვითონ პოეტი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო დღესასწაულს, მხატვარმა მოსე თოიძემ იუბილიარს გადასცა თავის სურათი და თან მგძნობიარი სიტყვითაც მიმართა, ტრიბუნის რედაქციიდან ილაპარაკა ს, ამაღლობელმა, სახალხო კომისართასაბჭოს კანცელ მართველმა ლადო სვიმონიშვილმა იუბილიარს გა დასცა 25 მილიონი მანეთი, საერთოდ იუბილიარმა მიიღო ას მილიონზე მეტი საჩუქარი. თორმეტის ნახევარ საათზე დღესასწაული გათავდა. იუბილიარმა მოკლე მაგრამ ძალიან მგძნობიარე სიტყვით მადლობა გადაუხადა საზოგადოებას.

ხალხი კიდევ არ იშლებოდა, და სიხარულით აცილებდა იუბილიარს.

იუბილიარმა მიიღო აგრეთვე აუარებელი მილოცვები და დეპეშები.

# ბალდახინი.

**კოლაუ ნადირაძე**

„ცანწყელებში“ პირველი წიგნი გამოსცა ვალერიან გაფრინდაშვილმა 1920 წ. გამოვიდა კოლაუ ნადირაძის ლექსების წიგნი „ბალდახინი“ 56 გვერდიანი 35 ლექსით სამ ხიწილად: „მთვარის ქურდები“ „კეთროვანება“ და „ბალდახინი“.

ნადირაძის ლექსები ამღერებულია სურნელი ლირიკით და ნათელ სახეებით გამარჯვებულ ფორმებში. იგი ყოველ ლექსში ამტკიცებს თავის თავს პოეტის პოტენციით, სულით და გრძნობით. „მთვარის ქურდებში“ მოგონებაა ძველი ზღაპრების და ლოცვების, როცა სნეული მეფე სპილოს ძვლის თასით უხვად ფანტავს ზურმუხტებს, ლალებს და საფირონებს. პოეტის დაღლილი სული ძვირფასთან იგონებს წმიდა ლოცვებს:

„ვსთქვათ ის ლოცვები, ო ბევრი რამე
მოგვაგონდება ჩვენ იმათ ხმებში
და როცა მოვა მწუხარე ღამე
დავმალავ ცრემლებს შენს ბავშურ თმებში

ყველაზე სანტიმენტალურად მოსაგონია ეს ბავშობა, როცა პატარა გოგოსავით ეცვა კაბა ცისფერი, როცა ძიძის ზღაპრებსა და სიმღერებში აცოცხლებდი ლურჯ ქვეყანას „როგორ მიყვარდა სოფლის დილა, ჭრიალი ურმის და თოვლის მოსვლა, გამოჩენა უცნობი სტუმრის“. ჯერ კიდევ პოეტი სამუდამოთ არ არის მოწამლული, ჯერ კიდევ გრძნობს სიცოცხლეს, სისუფთავეს მივარდნილ ქვაშიც, რომ სთქვას: „ღმერთო მაღალო, მე შენთან ვარ, მე ყველა მიყვარს“. (ლექსი Adagio). ასეთი გამთბარი ლირიკითაა დაწერილი ლექსები: „ძველი რითმებით“ „შემოდგომა სოფელში“ „ბავშობა“ და ყველაზე უფრო პატარა ლირიკული ლექსი, რომელიც აქვე მომყავს,—

მთვარის ლანდები კრთიან ხეებზე—
თეთრად ნაქარგი;
შენ ნულარ სტირი წარსულ დღეებზე
დამშვიდდი. კარგი.

ისეთი ღრმაა და წმიდა ზეცა—
ალერსით სავსე,
თითქოს ღვითსმშობლის ცრემლი დამეცა
ლოცვის დროს თავზე.

ო, ღმერთო ჩემო, ეს სავსე გული
შენ ჩაგაბარე,
და მას ეს ლაჟე ბროლით ქარგული
გადააფარე.

კოლაუ ნადირაძე პირველად „ცისფერ ყანწებში“ გამოვიდა ლექსით „ავზნიანი ქალაქი“. მანამდე ქართულ პოეზიაში არ ყოფილა ასეთი კეთროვანი სახეებით სიყვარული და ამღერება. პატარა ბავშმა უკვე დაკარგა გზა და შხამნარევი ცრემლებით ამართული პოეტის სული ეშაფოტია, სადაც უნდა დაიწვას ყოველი საგანი და მოვლენა, რომ ნახოს უკანასკნელი გამართლება და ეზიაროს მარადისობას.

„მყრალი სარდაფი, ბალღამით სავსე, ეს რბილი ტანი მე ყველგან დამაქვს, მაგრამ სიმძიმე მე მღალავს მისი“-ო ამბობს პოეტი და ის ეცემა შავი ქალაქის ხრიალში რომ გაეკრას ჯვარზე და ქრისტესავით ამაღლდეს ტკივილებისგან. აქ იშლება შავი დემონიური პარადი: ატალახებულ ქუჩებით, ავათმყოფ სახლებით, სამიკიტნო ღვინით და არღნით აყეფებული, გაქცეული ქალების საეჭვო ლანდები—მათხოვრები დამარცხებულ ჯარის მოწყენით რომ ბრუნდებიან—უკანასკნელად იხსნება პოეტის ავათმყოფ ფანტაზიის ყველა სისხლიანი ჭრილობები და ქუჩის ფარნების თვალებიდან ბალღამად იქცევიან ქვაფენილებზე. არავინ არ არის პოეტთან ამ ბრძოლაში, მხოლოდ საბრალო მუნჯი ლანდი თუ გამოყვება თანამგზავრად და საფთხობელად რომ ქურდულათ მოგვაჩვენოს ზურგში დანის დარტმა, ასე გაივლის პოეტი და მისი ლანდი, ეს ორი მასხარა, ამ ქვეყნად სიცოცხლეს, რომელიც მხოლოდ უნიჭო პიესაა და ქუჩის ძაღლების დატირებაა მაინც საჭირო რომ სულ ღვთის ამარა არ ყოფილა პოეტი.

ასეთი გალუცინაციების შხამითაა მოწამლული ნადირაძის საუცხოვო ლექსი „ტრიპტიხი“ (უნდა გამოვჭრა შენი ყელი, თეთრი გედური) „Neurastenia“ ლექსი: „ინფანტა მწევარით“ რამოდენიმე სტრიქონებში ხვდება ალბერ სამენის ცნობილ ლექსს „ინფანტა“-ს აქვე არის საინტერო ლექსები „ივანე მაჩაბელს, მისტერია ფოთლების, პოემა „ტარანტული“ რომელიც თითქოს ძვირფასი ქვების კრიალოსანია—მაგრამ ყოველი ქვა-სტრიქონი-შორეული ნაპირების და საოცნებო.

ამავე რკალში არის რამდენიმე შემთხვევითი ლექსი, რომელიც ვერ ეგუება შხამიან სპლინებს და ნევრასტენიას (მისტერია ფოთლების, თეთრი მირაჟი და სხვა).

ჩვენ ვნახეთ პოეტი ბავშურ ნიღბში სანტიმენტალურ მოგონებებით და ლოცვებით, ღმერთისგან გაქცეული დემონიურ ბოროტებით აპოკალიპსურ ქალაქში ღმერთის წინაშევე მძიმე ცოდვებით და სინანულით დაცემული. ამ გადარევაში ნადირაძის ინტუიცია მეტად ძლიერია და ჭეშმარიტი. არც ერთი ყალბი ჟესტი. მოდის მესამე პერიოდი-ფეერიული ბალდახინი განათებული ირონიის მზით. აქ პოეტის სევდა და სიგიჟე გალბობილია ამ მზის უკანასკნელ ყვითელ თვალებით. ამ ციკლში ცნობილია ნადირაძის ლექსი „Notre—damme“. აქ ძლიერია სახეების კომპოზიცია, ფერებისა და რიტმის ეფექტით, ეს არის ქიმერებით დასახლებული პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი—პოეტმა იცის რომ ვერლენი აქ დადიოდა დიდი ცოდვების შესავედრებლად. ამ წმინდანებში პოეტი ისევ ღვთისმშობელს მონახავს და მის ღიმილს გაეკიდება.

ამ ციკლში ირონიით ზიარებულია ლექსები „პირველი მარტი“ „ყალბი ავტობიოგრაფია“ „ქალბატონებს“ „ცხოვრება ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი„ პოეტი აზიელია—სიზმრებით თვალა ბურდული. მან გამოიარა ხაშმიანი ეკვატორი, ლომების დაბურული ღრუები, ინდოეთი თვალ ჩასმულ კერპებით, ჩრდილო ზღვების შავი სიმარტოვე, აქარის ათასი წლები Auto da te, გზები უვალი. მომყავს ტერცეტები ამ სონეტიდან.

„ქვეყნიერებას მოვევლინე ცხვირგატეხილი,
მახინჯი სახით, ხორციანი სქელი ტუჩებით.
ვატარებ ლორნეტს, დავიდარდე ბნელი ქუჩებით.
ახ! ნეტავ ქრისტეს ჩემი გული გადაეხილა.
თუ ვიქნებოდი მუდამ ასე, ცოდვილი, შავი,
მე ავზნიანი, კეთროვანი და საცოდავი.

კოლაუ ნადირაძეს აქვს ბევრი ბრწყინვალე ლექსები და სტრიქონები, რომელთა აქ მოყვანა შეუძლებელია.

საქართველოს ციკლიდან წიგნში მოთავსებულია „ოცნება საქართველოზე“ და „პატრიოტული ეკლოგა“ აქ პოეტი სამშობლოს მსაჯული და წინასწარმეტყველია.

„დაბერებული მოჩვარული და ნაწამები
კიდევ ბევრ ჯვარცმას გადაიტანს შენი სხეული
ო კიდევ ბევრჯერ შენ ცრემლებით დაინამები
და კიდევ ბევრჯერ დაგიტირებ თვალდახეული.

არის შეურიგებელი ბრძოლა პოეტსა და მიუღებელ რეალურ საქართველოს შორის, თუმცა პოეტმა იცის რომ გამტყუნდება მისი რევანში:

„გაუტანელი შენი ტანი დღეს ვის არ ელტვის
და მხოლოდ ჩემზე შენი მტრობა აღარ დასცხრება
და სამუდამოთ უწამები დარჩება შენთვის
ჩემი ტირილი, სიყვარული და დამარცხება!..

წიგნის შემდეგ კოლაუ ნადირაძემ დაბეჭდა ციკლი „ასპინძის ომი“. აქ თემას მიუდგა ეპიური ლირიკით და შედეგი დადებითია. მან როგორც გოტიემ და ვერლენმა დასწერა „L'art“ ამ ლექსში ზემოხსნებულ პოეტების Art Poètique-ს შემდეგ არაფერია ახალი,მაგრამ საჭირო იყო ამის თქმა ქართულად. მან როგორც სიმბოლისტ პოეტმა უარყო ყოველივე რეალური, გააბატონა სიმბოლო, საგნის პირობითობა და იწამა „ყოფნა ლანდური“ „შორ მომავალში და შორ წარსულში“.

კოლაუ ნადირაძე საკმაოდ დამდგარი პოეტია და მისი წიგნი იძლევა სრულ პორტრეტს პოეტისას. ეს პორტრეტი ორსახიანი ჲანუსია—ანგელოზისა და დემონის თვალებით და პოეტის გაორებული სული ტრიალებს საქანელაზე. ყოველი მისი ლექსი გამოცდილ ხელითაა დაწერილი, რეკავენ ლათინურ ზარების სიმტკიცით და სურნელებით. მისი ეპიტეტი ყოველთვის შლის საგნის შესაძლო პერსპექტივას და გარმონიას. მეტ ნაწი-

# დოკუმენტები და მოგონებები

## ილია ჭავჭავაძის წერილები

დაბადებიდან 85 წლის აღსანიშნავად (1837 27 X 8 XI—1922 წ)

ჩვენს ოფიციალურს კრიტიკას და ბიოგრაფიას, ყოველთვის ნაკლებად აინტერესებდა მწერალის ინტიმი. ცდა ინტიმის გამოტანის იყო-იონა მეუნარგია. მაგრამ მისი ერთი ნაკლი იყო პოეტის მთელი შემოქმედების გამოყენება ბიოგრაფიის მასალად; პოეტურ ფაქტში დანახვა ბიოგრაფიული ფაქტის.

ამიტომაა რომ მის ბიოგრაფიებში ადამიანი პოეტს-ადამიანს აწევს თაკის სიმძიმით.

ინტიმსაც რომ დავანებოთ, ლიტერატურის შკოლების განვითარება და ყოველი ლიტერატურული ტრადიციები წარმოუდგენელია, გარეშე ხრონოლოგიურ ლიტერატურისა, უკანასკნელისათვის კი ბიოგრაფიული მასალაა საჭირო.

ჩვენში არც ერთი დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე ბიოგრაფიულად არ არის შესწავლილ.. ვგონებთ საკმაო დრომ გაიარა საიმისოდ რომ უკვე არსებობდეს კოდექსები ილია ჭავჭავაძის. ვაჟაფშაველის და სხ.

ევროპასა და რუსეთში თითეული მწერალი პირდაპირ მიკროსკოპიულად შესწავლილია უბრალო დეტალამდე უმნიშვნელო ფაქტებამდე (მაგ. ხსენებული მწერალი ეწეოდა თუ არა პაპიროზს) და სასვენ ნიშნებამდის...

პუშკინიანა ხომ აქამდის მივიდა რომ „პუშკინოვედებს„ დღეს „პუშკინოედებს“ ეძახიან ისე გამოფატრეს და გადაისწავლეს პოეტი.

თითეული სტრიქონი დიდი მწერალის, ხდება ძვირფასი ჩამომავლობისათვის—სწერდა პუშკინი ვოლტერის ახალ წერილების გამოცემაზე. „ჩვენ ცნობის მოყვარეობით ვშინჯამთ“ ამბობს იგი: ავტოგრაფებს, რომლებიც, სხვას არას წარმოადგენს, თუ არა გასავალ ხარჯების დავთარის ნაგლეჯს ანუ მკერვალთან მიწერილს ბარათს გადასახდელ ფულის დაცდის შესახებ.

ჩვენ ძალაუნებურად აგვაღელვებს ფიქრი, რომ ეს ხელი, რომელმაც დასწერა ეს ჩუმი ციფრები, ეს უმნიშვნელო სიტყვები,—იმავე თითებით და შეიძლება იმავე კალმითაც, სწერდა დიდს ნაწარმოებებს—საგანს ჩვენის შესწავლის და აღტაცებისას.“

მკერვალთან მიწერილი ბარათი ჩვენთვის კომფორტია. ასეთ ბარათებს ვინ დაითვლის, როცა მხოლოდ ნ. ბარათაშვილის ოციოდე წერილის და გრიგოლ ორბელიანის რუსული დღიურის ნაწყვეტების გამოქვეყნებით ამოიწურება მთელი ბიოგრაფიული მასალები ჩვენი ლიტერატურის, კერძოდ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ილია ჭავჭავაძის კოლოსალური პიროვნება. კაცი რომელიც ატარებს „მეცხრამეტე საუკუნის“ სახელს, არც ერთი მხრით არ არი შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი თხუზულებანი უთვლელათ არი გამოცემული. არც ერთი მისი კერძო წერილი არც აკადემიურსა და არც მომცრო გამოცემებში გამოქვეყნებული არ არი, მაშინ, როცა აუარებელი მასალები დაგროვილია მუზეუმებსა და კერძო ოჯახებში.

დროა ამ დიდ საქმეს შეუდგეთ და ამოვავსოთ უფსკრული, რომელიც დღითი დღე ამოვუსებული ხდება.

ამ აზრით ჩვენს გაზეთში დაავარსეთ განყოფილება „დოკუმენტები და მოგონებები,“ სადაც შევა ძვირფასი მასალები ქართველ მწერლებზე.

ჩვენ დავიწყეთ ილიასგან, რომელიც დღეს ხელმეორედ იპყრობს საქართველოს.

ავტოგრაფებს გავეცანით ექ. მიხეილ გედევანიშვილის არხივში, რისთვისაც აქვე მადლობას ვუცხ დებთ. ყოველი აქ მოყვანილი წერილი პირველად იბეჭდება. წერილებს შეძლებისამებრ დართული აქვს ჩემგან პატარა კომენტარიები, რომელიც, რასაკვირველია ყოველ აკადემიურობის პრეტენზიებს მოკლებულია. რადგან ჩვენს ხელთ არ არის ილიას სრული მიწერ მოწერა და შეიძლება შემდეგშიც ბევრი აღმოჩნდეს, ამიტომ წერილების ხრონოლოგიურად დაწყობას აქ ვერ ვკისრულობთ. დასასრულ მივმართავთ ყველას, ვისაც კი მოეპოვება ილიას ან სხვა მწერალთა კერძო წერილები გამოგვიგზავნოს გაზ. „ბახტრიონში“ გამოსაქვეყნებლად. დაბეჭვდის მერე ავტოგრაფები პატრონებს დაუბრუნდებათ.

### წერილები პეტრე უმიკაშვილთან

I.

„შენი წიგნი დღეს მივიღე და დღესვე პასუხს გწერ. ჩემი აზრი ეს არის: კრებული უნდა არსებობდეს უსათუოდ. ვიცი ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენა ვართ, ძნელია მაგ კრებულის ნოყიერი საზრდო მივცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინც და მაინც არა გვყავს. იქნება მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, მაგალ. რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოძებნილიყო საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და და სხვეთა თანამგრძნობელთ ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ არც ესა ხერხდება. მართალი ხარ შენ: გაფანტულობა და დაქსაქსულობა გვღუპავს ჩვენ. მაგრამ მაინც და მაინც კრებული უნდა არსებობდეს, თუმცა დიდს შემწეობას ვერა გპირდები მწერალს დაუმოკიდებლობა უნდა, მწერალს თაისი დრო სულ მას უნდა ეკუთნოდეს სხვისა არ ვიცი და მე კი ესეთის აგებულების ვარ.

გწერ მოახერხე როგორმეო, უეჭველად ქალაქში გადმოხვიდო. ეგ ჩემი გადმოსვლა ადვილია, თუ ვაკანსია გაიხსნება, დაპირებულებიც არიან მაგრამ ჩემს დამოუკიდებლობას ეგ რას უშველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები. მე უნდა სამსახურ გარედ ვიყო. სამსახურის თავის დანებება ჩემთვის ამ ჟამად დიდი არაფერია. და თუ სამსახურიდამ გამოვალ მარტო იმისათვის, რომ ჟურნალი გამოვსცე. ვჰფიქრობ, და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია. აი სრულიადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან?) მწერალზედ იმედი მექნება, ანუ უკეთ მომეცემა, მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავარდები ბახტრიონ გალავანზედა.

იერემიას გოდება როგორღაც თავში ვერ მომდის და იმისათვის არ გაგილექსე: სწორედ გითხრა იმიტომ არ მამივიდა, რომ არ მესმის, თუმცა დიდის ყურადღებით წავიკითხე. საძაგლად არის თარგმნილი ჩვენს დაბადებაში, თუმცა ალაგ ალაგ კარგია.

კორრესპონდენტად, ანუ უკეთ, კომისსიონერად წიგნების გასასყიდად, დუშეთში გიშოვნე სანდო კაცი: ზურაბ სვიმონის-ძე მორთულაძე. ეს მოგიხერხებს წიგნების გასყიდვასა. მომავალის ნომრისათვის ჩემი აჩრდილი დაბეჭდეთ პირველი სამი ხანა. მეტი არა მაქვს რა.

მუხრანსკის ბრაშურა წავიკითხე აი ჩემი პასუხი. Лишь право сильного раб. свято исполняет. მაგ ბროშურის პასუხად აი რა დავწერე და გთხოვ დროებაში დააბეჭდინო, ჩემს გვარს ნუ მოაწერ, რჩევა.

თუ გინდა, ძმაო იგემო ამა ქვეყნისა შვებანი.

გვერდზე მინაწერი:

როგორ არა გრცხვენიან, რომ რაც ქართული წიგნები გამოდის, არ მიგზავნი? აი ქალებს რომ უთარგმნიათ, გამომიგზავნე. ფული არ დაგეკარგება.

ჩვენის აზრით, აქ წერილს ბოლო უნდა აკლდეს.

წერილის თავზე აწერია: მივიღე დუშეთიდამ 1872 წ. ენკენისთვის 1-სა პ. უმიკაშვილმა ეს წერილი და სახე ილიასი.

**პეტრე უმიკაშვილს II.**

(21 თიბათვეს 1872 წ. დუშეთიდამ)

„პეტრუს ბეგ! შენი წიგნი გამოვიდა მაგრამ პასუხი დაგიგვიანე, მომიტევე. რაც წიგნში მოგეწერა, ყველაფერზედ ჩემი სრული თანხმობა გამომიცხადებია ახალის რისამე გამოგზავნას მენუკვი, მაგრამ ახალი არა მაქვს რა, რომ დასაბეჭდად ღირსი იყოს. გაგიკვირდება ჩემი ზარმაცობა, მაგრამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით არ მამდის. მე სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შალავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ—ეგ მოსვენება და შალავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე, რამე და არაფერმა არ დამიშალა, დიწყობილს მალე შევასრულებ და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ გათავდა: მე იმ დაწყობილს ვეველარ მოვუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოვალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვწუხვარ ამ გვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსაით არი. ვფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო. ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა პურის შოვნის დევნაში, სამსახურს რომ თავი დავანებო. ესეა ჩემი ვითარება. მაგრამ მაინც კიდევ ვეცდები როგორმე დავწერო რამე. წინადვე არას გპირდები, იმიტომ რომ ბევრჯელ დაპირებული ვერ ავასრულე.“

**შენი ილია ჭავჭავაძე.**

ლად მისი რითმები უსწოროა მახვილის მხრით. ეს უმრავლეს ქართველ პოეტების უბედურებაა, თუმცა ასაშორებელი. მაინც მისი რითმები ახალი და ჯანსაღია და იგი სახეებს არ ღალატობს რითმისათვის. წიგნში მოთავსებულია ერთი თავისუფალი ლექსი—„სასწორი“ ლექსი უთუოდ გამარჯვებული. დღეს ხშირად იბეჭდება აზატი ლექსი და ხშირად ეს ტრაგიულია. არ იცი ლექსია, პროზა თუ არცერთი.

კოლაუ ნადირაძე ლაპარაკობს არისტოკრატიული ტონით („მოიხდის ცილინდრს და ლორნეტით დაგვაკვირდება“) მაგრამ უბრალო სიტყვებსაც აძვირფასებს ხშირად. (ახ, სულ ერთია, ნათრევალა გადამშეულებს, მოგვეჩვენება თვით სამოთხეთ-დუქანი ბნელი“) წიგნში მოთავსებულია სონეტები, ტრიოლეტები, ტრიპტიხი და სექსტინა. ის ყველა ფორმებს იმორჩილებს შესაფერ შინაარსისათვის. კოლაუ ნადირაძეს უკავია მოწინავე პოზიცია პოეზიის მებრძოლ გლადიატორებში. ის ჯერ კიდევ ახალგაზდაა და ქართული პოეზია ბევრს მოელის მისგან.

**შალვა კარმელი.**

# ნიკო ფიროსმანი

**მასალები ბიოგრაფიისთვის.**

ნიკო ფიროსმანი უკანასკნელ წლებში ხშირად დადიოდა ნიკოლოზ სოზაშვილის ღვინის სარდაფში მალაკანის ქუჩაზე; თანაც სოზაშვილის ოჯახში ის თავისიანათ და მეგობარად იყო მიღებული.

ამიტომ ჩვენც გადავწყვიტეთ საგანგებოდ მივსულიყავით რედაქციის და კერძოდ პოეტის ლეონიძის დავალებით ნ. სოზაშვილთან და მისგან ფიროსმანზე ცნობები შეგვეკრიბა.

აქ მოკლედ გადმოგცემთ სოზაშვილის საუბარს:

,,ოც წელიწადზე მეტია, რაც ნიკოს დავუმეგობრდი და ვიცნობ. დღე არ გავიდოდა თითქმის, რომ ნიკოლაჲ ჩემს სარდაფში არ ჩამოსულიყო. მიჯდებოდა კუთხეში, მოითხოვდა არაყსა, მწვანილს და დიდხანს იჯდა ჩუმად... ხშირად ყოფილა, სარდაფის მოქეიფეებს დაუპატიჟნიათ თავისთან, ან ღვინო მიუწოდებიათ, ნიკო ერთს კი ეტყოდა ზრდილობიანად უარს და მერე თუ ჩააცივდებოდნენ, ძალიან ეწყინებოდა ხოლმე. ხუთმეტი წლის განმავლობაში მე ნიკო არ მინახავს სხვებთან მჯდომარე და მოქეიფე. ეს იცოდა ყველამ და ამიტომაც დიდი მოკრძალებით ექცეოდნენ.

ნიკო იყო მაღალ-მაღალი ჭაღარაშერთული ახოვანი, ჯანსაღი და წამოსადეგი ვაჟკაცი. ეხურა ქუდი-ქოკე, ეცვა შავი პიჯაკი, შავი შარვალი და ასეთივე პალტო. თავის სიღარიბეში სუფთა კაცი იყო, ბოლო დროს ცოტათი მოეშო. ხმა ჰქონდა ბოხი- ძალიან მშვიდი და უწყინარი კაცი იყო, მეც გულმხურვალედ ვუყვარდი, როგორც იქაური სიძე, ცოლი ქიზიყელი ქალი მყავს,

მაინცა და მაინც არ იყო ნაკითხი მაგრამ არც უცოდინარი კაცი იყო. ქართული, მწერლობა ცოტად იცოდა. ძალიან უყეარდა ვაჟა ფშაველა. სხვათა შორის ნიკო თითონაც ლექსებს სწერდა. კაი პოეტი იყო და ჩემს მეუღლესაც გვინახავს მისი ლექსების რვეული. სად არის ეხლა იგი არ ვიცით.

დიდი მოყვარული იყო ქართველი ერის. ნიკა ვერ ითმენდა რუს მოხელეებს და გოროდოვეებს. ამბობდა, რომ მაგათ გაგვაბინძურესო. ცუდი წარმოდგენისა იყო ქალებზედაც და ძალიან ერიდებოდა. სმაში არაყი უყვარდა. 1913 წ, მე ვახატინებდი დიდ სურათს ,,რთველი“ მაშინ, მე არაყი არა მქონდა. ნიკა ხშირად აჩერებდა სამუშაოს, გამომართმევდა აბაზობით, წავიდოდა და არაყ-გადაკრული დაბრუნდებოდა.—ეგ მაცხოვრებსო. უმაგისოდ ცხოვრება არ შემიძლიანო და ხატვა ხომ სულ ვერაო. ზარხოშად მუდამ იყო, მაგრამ ძალიან მთვრალი არასოდეს. ხშირად მინახამ მთვრალი ნიკა კუთხის მაგიდაზე მარტოკა მჯდარი ბედს უჩიოდა, უყურადღეობას მოსთქვამდა, მაგრამ თავისთვის, ჩუმად, სიფხიზლეში ამაზე სულ არას ამბობდა. მხოლოდ ერთხელ მოწონებით მაჩვენა თავისი სურათი დაბეჭდილი 1917 წ. ,,სახალხო ფურცელის“ სურათებიან დამატებაში, საერთოდ ძალიან უწყინარი კაცი იყო, მაგრამ ამასთან ძალიან ამაყიც. ,,რთველსა“ ხატავდა, სურათის პლანს მე ვაძლევდი. ვატყობდი, რომ ძალიან სწყინდა ჩემი თავზე დგომა და ერთხელ მომიბრუნდა: ,,წადი აქედან, შენ გიყურო თუ ამასაო“. ერთხელ ძლივს დავიყოლიე რომ დაეპატარავებინა ,,რთველის სურათზე‘, რუმბი, რომელიც სურათს მეტად ამძიმებდა. მეორე ჩემი შენიშვნა იყო დაბალი ხარების გამოყვანაზე; ამის გაგონებაზე ნიკომ დასდო ყალამი და მთელი ერთი კვირა აღარც შემოუხედნია...

ბინა არა ჰქონია, საცა ჰხატავდა, იმ ღამითაც იქ იძინებდა. როცა საქმე არა ქონდა დადგებოდა დუქნების კარებთან და ღიმილით იტყოდა: აბა, რა დაგიხატოთო. სურათი ,,რთველი“ ორი კვირა ხატა სვენებ სვენებით. ძალიან ხელბარაქიანი მხატვრობა ჰქონდა, თუმცა გაბმით არ უყვარდა ხატვა. ცოტას მოუსვამდა კლიონკაზე სამხატვრო ყალამს, მერე არაყს გადაჰკრამდა და ასე და ასე.

სიკვდილის წელს ვგონებ რომ ორმოცდა ათს გადაცილებული იყო. მე მაშინ თბილისში არ ვიყავი, მხოლოდ ,,ისპანკა“ იყო გავრცელებული. სამი დღე უპატრონოდ გდებულიყო ნავაკში. როცა ,,სწრაფი დახმარების“ ეტლში ჩასვეს მან სთქვა: „ხორველა მჭირსო“- დამარხული უნდა იყოს წმიდა ნინოს სასაფლაოზე, არავინ მის კუბოს არ გაჰყოლია მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა და საავადმყოფოშვე დამარხა.

ყველაზე უკეთესად და დაწვრილებით მისი ამბები იცოდა განსვენებულმა ილია მგალობლიშვილმა.

ნიკას სურათებით ერთ დროს გაჭედილი იყო რიყე, მალაკნის ქუჩა და ვაგზალი. მრავალი დაიღუპა. მე პირადათ ვიცი მრავალი მისი სურათები ქესტზე, ეხლა ,,ტრუბებად“ უკეთია სახლებს.

განსაკუთრებით მშვენიერი ხატვა იცოდა აზრებისა (,,ვივესკა“) მეცა მაქვს მისგან დახატული აბრა ,,ურემი, ღვინოს ბოჭკითა და მეღვინეთი“.

მე დამრჩა ორი სურათი ,,რთველი“ და ,,მოქეიფენი“ რომელიც ჩემგან შეიძინა სასყიდელით გაზ. ,,ბახტრიონის“ რედაქციამ“.

**ეგნატე მენთეშაშვილი**

# კვ̈ამატი ორშაბათი

გალმა კლავიშებს ტირილი აყვა—
ღამეს მოქონდა ხმები ქარსავით.
ო, როგორ უნდა სულს შენი ნახვა,
შენი ღიმილი დაუთარსავი.

ამ ლექსს უცნობი სტრიქონებს მოხევს—
შიშით ვკანკალებ ხელაპყრობილი.
და დავინახე ხავერდის ნოხზე
სუროს ფოთლებში შენი პროფილი:

მოედვა ცეცხლი წიგნებს მტვერიანს
და ელექტრონი იქცა საკირეთ.
დავკეტე კარი—გარეთ მტერია,
შენი თვალები მინდოდა სარკეთ.

მაგრამ ვიღაცა გატეხავს მინას,—
და ვეცი კატას, უნდა გავფატრო.
და ეხლა ვფიქრობ: რა უთხრა დილას
მოკლულ კატაზე ჩემ სახლის პატრონს.

**რაჟდენ. გვეტაძე**

# სილუეტები

სიყვარული აღარ განმეორდება.
გულს გიშრები შემოერტყა მარაოთ,
შუა-ღამის მგლოვიარე რიდება.
მარმარილოს გაყინული თვალები
მზიურ ელვათ ველარ მოურიგდება.
მარმარილოს გაყინული თვალები...

ქარს გაჰყვება გაზაფხულის ხუმრობა,
დასჭკნებიან ტუჩზე ყარამფილები,
მზე მოკვდება გული დაიხურება.
ფიქრი მტევნათ ჩამოწყდება სიტყვებში
ცას მიწისკენ მოსწყინდება ყურება
მზე მოკვდება. გული დაიხურება.

სივრცეს სიბრძნე მოეხვევა ქირმანათ
კვლავ ოცნება ქალის სევდას დაფარავს.
და ვნებების ღვინისფერი ნირვანა
ხრიზანტემათ გაიშლება სარკეში.
კვლავ ოცნება ქალის სევდას დაფარავს
და სიცოცხლეს მწუხარება დაფერავს.

**ნინო თარიშვილი**

# ბიბლიოგრაფია.

**ვაჟა ფშაველა. I ტომი ლექსები. ს. აბაშელის რედაქციით. ს. ს. ს. რ გამომცემლობა 1922 წ.**

ქართული კულტურისა და ლიტერატურისადმი მეგობრულად მაინც განწყობილი პირისათვის დიდი და სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ვაჟაფშაველას ლექსების 1 ტომი გამოცემა. დღეს როდესაც საშინელი კრიზისია ქართული წიგნების და ამ მხრივ ,შიმშილის ფრონტი“ გაიხსნა საქართველოში, უდაო კულტურული მოვლენა და განძია ასეთი ძვირფასი გამოცემა. სამწუხარო მდგომარეობაშია საერთოდ ქართველი მწერალთა შემოქმედების ნაყოფი და იშვიათს მათგანს რგებია ისეთი ბედი, რომ მოსწრებოდეს რამდენიმე ან ერთ წიგნად გამოსულს, თავის თხზულებებს. გასაოცარი ისაა, რომ დღესაც ვერ წაწეულა წინ გამოცემის საქმე და წიგნის ბაზარი, ქართული წიგნის ბაზარი სრულიად ცარიელია. ორი გამოცემის დასახელება შეიძლება მხოლოდ, ამ უკანასკნელად ხანის განმავლობაში: პარათაშვილი და ვაჟა. რომ არაფერი ვსთქვათ ახალ მწერლობაზე, რომელმაც ჰიგანტის ნაბიჯებით წასწია წინ ჩვენი ლიტერატურა, ქართული მწერლობის კლასიკები სრულიად ხელ უხლები რჩებიან და ჯერაც არ იცის არავინ, როდის დადგება მაგათი გამოცემის რიგი. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ახალი მწერლობიდან პირად ენერგიის და ხშირად ჯიუტი კადნიერების საშუალებით თითო ორი, მჭლე მაგრამ მაინც ხელის მოსატანი გამოცემა ჩნდება ხოლმე ბაზარზე. თუმცა აქაც ბევრია გასაკეთებელი. დროა და საკმაოდაც მომწიფდა საჭიროება გრ. რობაქიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის. პაოლო იაშვილის. გიორგი ლეონიძის. ს. აბაშელის კ. ნადირაძის, ს. ფაშალიშვილის ნ. ლორთქიფანიძის და სხვა ორივე მიმართულების მწერლობის თხუზულების სრული, მთლიანი წიგნებად გამოცემისა მაგრამ, გარდა ქრონიკაში აღნიშნული ამბავად თქმული ცნობისა და მცირე ზომის კრებულებისა ქართული წიგნის ბაზარზე არა მოიპოება რა. მაგრამ ახალს კიდევ მოითმენ. ძველებს კი მოვლა უნდა, ამიტომაც არ შეიძლება სიამოვნებით ,არ აღინიშნოს ვაჟას გამოცემა სახელმწ-გამომცემლობის მიერ.

რედაქციის წინასიტყვაობიდან ვგებულობთ, რომ ფართე გეგმა ვაჟას გამოცემისა, ჩაშლილა (არ ახალია, ძველია!) 8 დიდი ტომის მაგიერ, გამოვა მხოლოდ სამი. ძალიან სამწუხაროა! მაგრამ მე მგონია ეს რვა ასე არ შემცირდებოდა, რომ გამომცემლობას მცირეოდენი მომჭირნეობა გამოეჩინა. ვაჟას პირველი ტომი საუცხოვოდაა გამოცემული გარეგნობით. მართალია წიგნს ფასი არ აწერია, მაგრამ არ გვგონია, რომ იგი თითო ცალი 400 ათასი მანეთზე ნაკლები დამჯდარიყოს. 50 პროც. ნაკლები. ქაღალდზე რომ დაბეჭდილიყო იგი. 3. მოსალოდნელი ტომი ხუთამდე მაინც გაიზრდებოდა.

რასაკვირველია ბარბაროსობა იქნებოდა გვეთქვა რომ წიგნი კარგად არ უნდა გამოიცეს პირიქით. მაგრამ ჩვე-

III.

,,მე არაფერს არა ვწერ. ამ აჩრდილმა ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ გაქირა ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ველარ წავდგი. რა ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ აჩრდილს თავი დავანებო მეთქი, ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა. ერი არსადა სჩანს. მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიმიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არი. ერთი გადმოდი, ლაზათიანი მასლაათი გავწიოთ. უკაცურობამ ლამის მამიდნოს. მართალია ლესინგი: მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროს თუ არ ცხოვრების მორევში საგანს სად იშოვნი წერისათვის.“

ეს წერილი ჩვენის ვარაუდით უნდა ეკუთვნოდეს 1872 წ. და მოწერილი უნდა იყოს ქ. დუშეთიდან, სადაც ილია 1875 წლამდე მომრიგებელ მოსამართლედ იყო. როგორც ცნობილია; 1872 წელს დაწყებული პოემა ,,აჩრდილი“ ილიამ სრულად გამოაქვეყნა მხოლოდ 1881 წელს.

ეს სამი წერილი პეტრე უმიკაშვილთან ეკუთნის ილიას მეორე პერიოდს როცა ,,მამების“ დამსხვრევის მერე ილია შეუდგა დიდს ლიტერატურელს და ორგანიზაციულს მუშაობას. ილია მაშინ დუშეთში იყო და აქედან დიქტატორობდა საქართველოს. ამ წერილებში საინტერესოა მისი კერძო შეხედულობა მის თანამედროვე მწერლებზე და თავის პოეტურ ბუნებაზე.

მუხრანსკი არის—გ. მუხრანსკი პარიზში სენსაც. წიგ. ,,о существах единиц-ის“ ავტორი.

**წერილები ვასილ მაჩაბელთან I.**

„საყვარელო ძმაო ვასო! მოგართვი შენგან დაშორებული ივერია. აბა შენ იცი როგორც დაგვეხმარები. იწერები ვანოს უნდა გავუგზავნოო. თუ გიყვარდე იმისი ადრესი მომწერე და მე თითონ გავუგზავნი პირდაპირ აქედამ რედაქციის მხრით. შენ შენი ნომერი გაზეთისა შენ იქონიე.

ვასოს წიგნების ქებას იწერები. ვიდრე ამას შენ მოიწერებოდი ჩვენმა ავალოვმა დიდი ქება მითხრა მაგ წიგნებისა.

რა კარგი იქნება რომ ეგ წიგნები დამაბეჭდვინო, თუ შესაძლებელია და თუ ვანო ნებას მოგცემს მიჰსწერე შენად და ჩემად მოგვეშველოს როგორმე. ჭკვიანი ბიჭია და აძასთანაც კარგის კალმის პატრონი—ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება. ჰსთხოვე და არამც თუ სთხოვე, შეეხვეწე ჩემ მაგიერ რომ სტატიები რამ გამოგვიგზავნოს.

მეფე ლირი დავბეჭდეთ. გამოგიგზავნი ამ დღეებში ვანოს ადრესს რომ მივიღებ, იმასაც გავუგზავნი. ცოტა კორრექტურის შეცდომით დაიბეჭდა, მაგ. რამ არა უშავს რა. ჩვენი დავით იესსძე ჩუბინოვი ნახე გაზეთი მივართვი როგორც ჩვენს უხუცესს მწიგნობარისა. ჰსთხოვე ჩემ მაგიერ ლაზისტანზედ რომ რუსულად ნაწერი აქვს, გამომიგზავნოს მე თვითონ ვსთარგმნი და ისე დავბეჭდავ. შენი ჭირიმე ამ წიგნის მიღებისვე უმალ მიდი და ჩემმაგიერ სთხოვე მალე გამომიგზავნოს დაპირებულიც არი. ჩვენი ალექსანდრე ცაგარელიც შეაფუცხუნე—გვიშველოს რამე. ეცადე შენ გეთაყვანე, მანდ მოსწავლეთაგან მცირე სალიტერატურო წრე შეადგინო. მათთან მისვლა მოსვლას ნუ დაიზარებ. შენ იცი და შენმა გულშემატკივრობამ ამ ჩემს თხოვნას რა ყურადღებასაც მიაქცევ.

სანდრო ერისთავი ნახე, უთხარი სირცხვილია თქო, რომ ქაღალდი არ გამომიგზავნე თქო. თუ შეიძლება ფული უკანვე დამიბრუნოს, ან შენ მოგცეს და შენ მიყიდე ისეთი ქაღალდი როგორც „Неделя“-ს ქაღალდი.

აქაური არ არის რა ღირს საცნობი იყავ მშვიდობით, ჩემო კარგო ვასო და ისურვე ჩვენთან ერთად ჩვენი ,ივერიის სიკეთე და დღეგრძელობა.

10 მარტი. **შენი ილია ჭავჭავაძე.**

ეს წერილი ეკუთვნოდეს 1877 წელს როცა მარტში გამოვიდა ილიას ყოველ კვირეული ჟურნალი ,,ივერია“ და ილიაც შეუდგა თანამშრომელთა კადრის შედგენას. წერილი მიწერილია ივანე მაჩაბელის უფროს ძმასთან პეტერბურგელ იურისტ ვასილ მაჩაბელთან, რომელიც სიკვდილამდე ილიას უგულითადესი მეგობარი იყო. ილიას წერილებში ხშირად შეხვდებით ვ. მაჩაბელისადმი ასეთ მიმართვას: „ჩემო საყვარელო ძმაო ვასო“, ,,გულ ფიცხო, მაგრამ მაინც კარგო ჩემო მეგობარო ვასო!“ ან კიდევ: ,,კავკასიის მთების იქით ერთი ეროვული მეგობარი გყავს, რომელსაც ეძახიან ილია ჭავჭავაძეს“.

წერილში მოხსენებული ვანო არის —ივანე მაჩაბელი, რომლის მეგობრობაც ილიასთან გრძელდებოდა (1874 — 84 წლამდე).

,,ჩვენი ავალოვი“ უნდა იყოს დ. ავალიშვილი, ბანკის დირექტორი—მამა ზურაბ ავალიშვილის დავით იესეს-ძე ჩუბინაშვილი,—პროფესორი (1814—1897 წ.) ალექსანდრე ცაგარელი—(დღ. იუბილ.) პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი.

II.

ძმაო ვასო! ამას წინად წიგნი მოგწერე, არ ვიცი მიიღე თუ არა. ხვეწნა აღარ გინდა, რომ იმ წიგნის თხოვნა ამისრულო- ეხლა ამას გეხვეწები: ჩვენი გაზეთის ,,დროების“ 26 გამომიგზავნე ნიკოლაძის და ლოლობერიძის კრივში მეც უნდა ჩავერიო და ცოტაოდენი ქვაც ავურიო. ორივე ცულლუტობენ, ნიკოლაძე კი უფრო ბევრსა. მაინც იმედი მომეცა, რომ ჩემს საქმეს გავარიგებ.

კაცი ვიშოვე რომელიც დამპირდა შემწეობასა, ხვალ დაბოლოვდება ჩემი იმედოვნებას ასრულება და გამტყუნება.

21 აგვისტო 1873 წ. მოსკოვი. შენი
**ილია ჭავჭავაძე.**

ეს წერილი მიწერილია მოსკოვიდამ, სადაც ილია გაგზავნილი იყო საზოგადოების მიერ საგანგებოდ ბანკის საქმეების შესასწავლად.

ნიკო ნიკოლაძესთან მოხსენებულია ქუთაისის ბანკის გამგე ბესარიონ ლევანის ძე ლოლობერიძე დავა ატეხიიყო საბანკო საქმეებზედ. 1871 წ. ილიამ თავის პირველ რვა გამოცანებში ბესარიონ ლოლობერიძეც მოაქცია: ,,ჭკვა მოკლე და ენაგრძელი დიდთა ქებით გაბერილა ვით ავი სენის ტრიკია, ახლის აღთქმის კაცი იყო, ეხლა ძველრომი ხელიკია. ახლისა და ძველის შუა ის ჩატეხილი ხიდია“ ბ. ლოლობერიძე გარდაიცვალა 1879 წ. მაშინ ილიამ ბოდიში მოიხადა სიკოდ: ,,რჩეული კაცი იყავ და გულში გიღვიოდა ნაკვერჩხალი ქვეყნის გულშემატკივრობისა. ყველას არ ჩაიხედებდი შენს გულში. მე ჩამახედე, ძმაო, ამ უკანასკნელ დროს შენს გულში და და ჩემი უტყუვარი გამკითხველი იქ ვიპოვე ბევრი დაგვიშავებია შენს წინაშე, დაგვიშავებია არ ცოდნით მაშასადამე არ ცოდვით. შეგვინდე და მოგვიტევე“ (,,ივერია“ 1879 წ № 4)

**წერილი მის მარჯორ უორდროპთან.**
8 | 20 სექტემბერი 1897

მოწყალეო ხემწიფევ!

„დიდათ მოხარული ვარ, რომ ჩემს ,,განდეგილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია. სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად.

დიდებულმა ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებული ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს—ბარბაროზებს.

ყოველს ქართველს თავმოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივ-ცემულს ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგიწებებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით და გულისტკივილით, რომელიც ამშვენებს ადამიანს და რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან ჩაგრულთათვის.

სასურველია, სახელოვანმა ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული; რომ აქაცა აქეთ თავისი წამება და წვალება უკეთეს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველიფე ეს ზედ-დაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერლობას, რამოდენადაც კი გარემოება ნებას იძლევა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა გადაღებაა ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალ-ღონის საყოველთაო საცნობელად.

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა, ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ სამსახურად მიჩნეულ იქნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი საზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია, თქვენთვის, როგორც გნებოთ, ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთეს პატრონს და მფარველს ვერ ავუჩენდი.

გვპირდებით ჩვენში მობძანებას. სიხარულით დაგიხვდებით და უმორჩილესად გთხოვთ წინადვე გვაცნობოთ როდის ან რა გზით მობძანდებით. იმედი გვაქს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა.

თქვენი მობძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივისმცემელი **ილია ჭავჭავაძე** მოწყალე ხელმწიფე ბატონს მარჯორი ვარდროპს.“

**გიორგი ლეონიძე**

ნისთანა ღარიბი ხალხისათვი ასეთის ,,ფუფუნება'' დანაშაულია. ესეც რომ არ იყოს გარეგნობა წიგნის, სრულიად არ ამართლებს რედაქციის მიერ გაწეულ შრომას, რადგან საუცხოვოდ გამოცემული წიგნი წასაკითხავად საზარელია უამრავი შეცდომის გამო წიგნი შეიცავს (შეცდომების გასწორების, ვაჟას ლექსიკონის ბოლო სიტყვის და სარჩევის გამოკლებით) 239 გვერდს. შეცდომის გასწორება კი 8-ს და ეს აკადემიურად გამოცემულ ლექსების ტომში. არის წიგნში ისეთი გვერდი, რომელშიც 6-7 შეცდომაა თითო ხომ თითქმის ყველაშია. ასე წიგნის გამოცემა არ შეიძლება სულ ერთია რა მიზეზიც არ უნდა იყოს ეს დანაშაულია. დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს პირველ ტომს პროფ. აკაკი შანიძის შრომა ,,ვაჟას ლექსიკონი'' ასეთი შრომა პირველი ცდაა ქართულ ლიტერატურაში და მან უეჭველად გაამართლა თავისი მიზანი,

პირველი ტომის გამოცემაში დიდი ენერგიაა დახარჯული და ეს თითქმის გამართლებულია, მაგრამ ეს პირველი ცდაა და ს. აბაშელი, რომელიც რედაქტორობს გამოცემას შეეცდება შემდეგი ტომები ვაჟას ნაწერების იყოს დაბეჭდილი, როგორც შვენის ვაჟას და მის რედაქტორს პოეტს, რომელსაც აქვს გემოც და კულტურაც.

**შოთა დადიანი.**

რედაქტორი **გ. ლეონიძე.**

## ტფილისის საბჭოს სასტატისტიკო საინფორმაციო განყოფილებასთან დაარსდა ცნობათა ბიურო,

რომელიც აძლევს ყოველგვარ ცნობებს დაინტერესებულ დაწესებულებებს და მოქალაქეებს, ქალაქის საბჭოს ცხოვრებიდან, აძლევს მოქალაქეებს დარიგებებს და უთითებს თუ ვის რომელ ოთახში, ან რა საქმეზედ უნდა მიმართოს ქალაქის საბჭოში

აქვე შეიძლება მიღება ქ, ტფილისის ყველა დაწესებულებების მისამართების და ტელეფონის №№

ღარიბ მოქალაქეთ, ცნობათა ბიურო უდგენს ყოველგვარ ცნობებს და განცხადებებს.

ცნობათა ბიურო ჰყიდის სალერბო ნიშნებს და აგრეთვე საინფორმაციო სასტატისტიკო განყოფილების მიერ გამოცემულ კალენდარებს, რომელშიაც არის მოთავსებული ყველა მისამართები და ტელეფონის №№-ბი ქ. ტბილისის დაწესებულებებისა და აგრეთვე ქ. ტფილისის ეკონომიური პოლიტიკური-ცხოვრება.

ფასი ზემოხსენებული კალენდარებისა . . . 10.000 მან. ბინვბ.

ქ. ტფილისის ატლასების ფასი . . . . . . . 500.000 მ.

რუქა ქ. ტფილისის, შედგენილია 1922 წ., რომელშიეც არის მოთავსებული ყველა დაწესებულება ქ. ტფილისისა ფასი. . . . . . . . . . . 300,000 მ.

და ქალაქის ალმასკომის ბეჭვდითი ანგარიშები ფასი 300,000 მ.

ცნობათა ბიურო არის მოთავსებული ქალაქის საბჭოს შესავლის გვერდზე (თავისუფლების მოედანზე).

საინფორმაციო სასტატისტიკო განყოფილების გამგე.

## ბათუმ-ბაქოს შორის
### № 1 და 2 ჩქარი მატარებელზე
## საპლაცკარტო ტარიფის შემცირება.

რესპუბლიკის მოქალაქეთა ჩქარი მიმოსვლის გასაადვილებლად ამიერ-კავკასიის რკ. გზების სამართველომ მოახდინა შემდეგი განკარგულება ტარიფის შემცირების შესახებ.

1 ნოემრიდან №№ 1 და 2 მატარებელში გამოიყოფა 2 ვაგონი რბილი საწოლებით, რომლის პლაცკარტი ეღირება სამგზავრო ფასის 40 პროც. ერთი ვაგონი მაგარი საწოლებით, რომლის პლაცკარტი ეღირება 25 პროც. ორი ვაგონი დასაჯდომი ადგილებით, რომლის პლაცკარტის ფასი იქნება 15 პროც და ერთი ვაგონი რბილი დასაჯდომით, რომლის პლაცკარტი ეღირება 20 პროც. რკინის გზის მოსამსახურეებს ამ ვაგონებით მგზავრობა რკ. გზათა სამმართველოს ნებადაურთველად აკრძალულია.

# განცხადება

## სახალხო სასურსათო კომისარიატის მომარაგების განყოფილებისა

ოქტომბრის 23-დან მომარაგების განყოფილება იწყებს აგვისტოსი და სექტემბრის ულუფის განწილებას. ულფუა მიეცემათ საბჭოთა მუშაკებს, რომელნიც ნაჩვენებ დროს სახელმწიფოებრივს მომარაგებაზე იყვნენ ტფილისში ერთის თვის ულუფას შეადგენს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ფხვნილი შაქარი . . . | 1 გირ. | ლობიო . . . . . . | 8 გირ. |
| ჩაი . . . . . . | 1/4 ,, | მარილი . . . . . . | 3 ,, |

ულუფა უნდა გამოითხოვოს დაწესებულებამ, ან წარმოება ერთის კვირის განმავლობაში აღნიშნულ რიცხვებიდან.

## ულუფის მიცემის წესი:

მოთხოვნილებანი წარდგენილ უნდა იქნენ ჯგუფების წარმომადგენელთა საშუალებით სახალხო სასურსათო კომისარიატის მომარაგების განყოფილებაში (ევანგულოვის ქ. № 2); ულუფა გაიცემა ცენტრო-საწყობიდან (ელისაბედის ქ., № 133). ტარა ულუფის წამღებსა თვით უნდა მიიტანონ.

მოთხოვნილებაში ნაჩვენები უნდა იყოს ფაქტითრი რიცხვი საბჭოთა მოსამსახურეებისა, რომელნიც ხსენებულ დროს სახელმწიფოებრივს მომარაგებზე აყვნენ და რომელთაც ეკუთვნის ულუფით დაკმაყოფილება.

## აგვისტოსი და სექტემბრის ულუფის ფასი:

### I.

იმ დაწესებულებმა და წარმოებებმა, რომელნიც მუშებს და მოსამსახურეებს ჯამაგირს აძლევენ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ მტკიცე ტარიფის მიხედვით (დადგენ. № 51), სამუშაო ხელფასიდან მუშათა-მოსამსახურეებს უნდა გამოურიცხონ ჯამაგირიდან:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 გირვანქა შაქარში . . | 20.000 მან. | 8 გირვანქა ლობიოში . | 32.000 მან. |
| 1/4 გირვანქა ჩაიში . . . | 16,000 ,, | 3 გირვანქა მარილში . . | 3000 ,, |

სულ მშრალ ულუფის ფასად უნდა დაუქირონ მოსამსახურეებს თვითეულ თვეში—71.000 მან. თვითეულ 1 გირვანქა პურზე თანამშრომელს უნდა დაუქირონ ჯამაგირიდან გირვანქა პურის 3,500 მან. შეფასების კვალად—105,000 მან. სულ მშრალ ულუფასთან ერთად—176,000 მან. თვითეულ თვეში ვინც ორ გირვანქა პურს იღებს 3,500 მან. შეფასების მიხედვით იმათ უნდა გამოექვითოთ 21,000 მან., სულ მშრალ ულუფასთან ერთად—284,000 მანეთი თვითეულ თვეში. ვინც 2 ნახ. გირვანქა პურს იღებს, იმით უნდა გამოექვითოთ 3,500 მანეთის შეფასებით—262,000 მან სულ მშრალ ულუფასთან ერთად —334,000 მან. თვითეულ თვეში.

### II.

იმ დაწესებულებებმა და წარმოებებმა, რომელსაც კოლექტიური ხელშეკრულებანი აქვთ დადებული და მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირს აძლევენ მტკიცე განაკვეთზე მეტს, სამუშაო ხელფასიდან უნდა გამოურიცხონ შემდეგის წესით: მშრალ ულუფაში 71,000 მან. თვითეულ თვეში. ერთი გირვანქა პურში—გირვანქა პურის 5,500 მან. შეფასებით 165,000 მანეთი, სულ მშრალ ულუფასთან ერთად 236,000 მან. თვითეულ თვეში. 2 გირვ. პურში—5,500 მან. თვითეულ თვეში მშრალ ულუფასთან 401,000 მანეთი თვითეულ თვეში. 2 ნახ. გირვ. პურში—5,500 მან. შეფასებით—413,000 მან. სულ მშრალ ულუფასთან ერთად 484,000 მან. თვითეულ თვეში. ამ ნაჩვენებ შეფასების მიხედვით დაწესებულებებმა და წარმოებებმა მუშა-მოსამსახურეებს უნდა გამოუქვითონ ჯამაგირიდან.

**სახ. სასურსათო კომისარ. განმანაწილებ. განყოფილ.**

ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000. სამხედრო საზღვაო კომისარიატის სტამბა